

საქონის ფინანსური სახელის დაქირავების

მეთოდოლოგია



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

სარჩევი

შესავალი.....	3
1. სახდელის არსი	4
2. ლეგიტიმური სანქციის განსაზღვრისთვის საყურადღებო გარემოებები	6
2.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენა	6
2.2. ხანდაზმულობის ვადა.....	8
2.3. სამართალდარღვევის ხასიათი/ბუნება	10
2.4. ბრალეულობა და ბრალის ხარისხი.....	10
2.5. მონაცემთა კატეგორია	15
2.6. როგორ გახდა დარღვევა ცნობილი საზედამხედველო ორგანოსათვის	15
2.7. შიდაორგანიზაციული წესების და ქცევის კოდექსებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.....	15
2.8. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ზომების შეფასება	16
2.9. დარღვევის შედეგი/დაზარალებული მონაცემთა სუბიექტი.....	16
3. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები	17
3.1. უმნიშვნელო დარღვევები.....	17
3.2. დამამძიმებელი გარემოებები	20
3.2.1. განმეორებითი სახდელის დადება.....	20
3.2.2. დიდი ოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემების უკანონოდ დამუშავება	22
3.2.3. არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავება	23
3.2.4. ანგარების მოტივით მონაცემების დამუშავება.....	24
3.2.5. დისკრიმინაციის მოტივით მონაცემების დამუშავება	24
3.3. შემამსუბუქებელი გარემოებები	26
3.3.1. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება ან/და მსგავსი სამართალდარღვევის შემდგომ თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება	27
3.3.2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ	

3.3.3. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის გულწრფელი მონანიება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობა	29
3.3.4. საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხის შეფასება	29
3.3.5. სხვა გარემოებები, რომლებიც სამსახურის მიერ შესაძლოა მიჩნეული იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებებად	30
4. პრინციპები, რომლებსაც სახდელი უნდა აკმაყოფილებდეს.....	31
4.1. სახდელის მიზანი.....	31
4.2. თანაზომიერება და პროპორციულობა	32
4.3. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გამოყენება.....	33
4.4. თანასწორობა და დისკრიმინაციის გამორიცხვა	33
5. ადმინისტრაციული სახდელის დადება რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას.....	34
6. სახდელის ოდენობის განსაზღვრის პრაქტიკული ასპექტები.....	36
7. სახდელის შერჩევის დასაბუთება სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში	40

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 2024 წლის 1 მარტიდან ახლებურად არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის სახდელის დაკისრების წესს. სანქციის ზომად დადგენილია გაფრთხილება და ჯარიმა.¹ ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება დამამძიმებელი გარემოებები², კანონი სახდელის ფორმად იმპერატიულად განსაზღვრავს ჯარიმას. ჯარიმის ოდენობა დაკავშირებულია ორგანიზაციების წლიური ბრუნვის ოდენობასთან. კანონით დადგენილია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებიც. სახდელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელია მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევებთან დაკავშირებით კანონის დათქმა³, ვინაიდან აღნიშნული რეგულირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს შესაძლებლობას ანიჭებს, მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევის ჩამდენი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს და შენიშვნის მიცემით შემოიფარგლოს. გარდა ამისა, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 4 თვემდე გაიზარდა სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადა, ასევე, ახლებურად დარეგულირდა სამართალდარღვევათა სიმრავლის დროს სახდელის დადების წესები.

სახდელის დაკისრება და მისგან გათავისუფლება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხდება. შესაბამისად, კონკრეტული სახდელის შერჩევასთან დაკავშირებული გარემოებები საქმისწარმოების პროცესში უნდა დადგინდეს, გადაწყვეტილებაში უნდა დასახელდეს და დასაბუთდეს. ამდენად, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო ინსტრუქციის არსებობა გადაწყვეტილებების პროპორციულობის, სამართლიანობისა და თანმიმდევრულობისთვის. სახდელის დადებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის განსაზღვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალი საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიან და ერთგვაროვან იმპლემენტაციას.

წინამდებარე ინსტრუქცია ეფუძნება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების წესთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, ასევე, ევროპული სამართლის კვლევას და განსაზღვრავს სახდელის სწორად შერჩევის თუ მისგან

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე-87-ე მუხლების პირველი პუნქტები, გარდა 82-ე მუხლისა, რომლის დარღვევის შემთხვევაში, პირველი ფაქტისთვის გათვალისწინებულია გაფრთხილება.

² „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე-81-ე; 84-ე-85-ე მუხლები.

³ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

გათავისუფლებისას გასათვალისწინებელ ძირითად საკითხებს.

1. სახდელის არსი

ადმინისტრაციული სახდელი არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ზომა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება დემოკრატიულ სახელმწიფოში მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონიერებისა და კანონის უზენაესობის პრინციპთან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული გადაცდომა.⁴ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმები იცავენ სამართლის სხვა ნორმების მიერ უკვე მოწესრიგებულ ურთიერთობებს.“⁵ „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეების მსგავსად, კანონიერების, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის და ა.შ. პრინციპებს ეფუძნება, ანუ პრინციპთა ერთიან სისტემას, რომლებიც ასახავენ მის შინაარსს, არსს, ფუნქციებსა და რეალიზაციის ფორმებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპები ასახავენ მის ობიექტურ არსს, მიზნებს, ბუნებას და დანიშნულებას. პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის დროს კანონმდებელი შეზღუდულია სამართლიანობის, პროპორციულობის და სამართლის სხვა კონსტიტუციური და ზოგადი პრინციპების მოთხოვნებით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა (სუსგ №ბს-468-465 (კ-17), 21.01.2020 წ.), მათ შორის საჯარო ინტერესების აღდგენა და წარმოშობილი ზიანის კომპენსაცია. ამასთან, სამართალდარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზომა უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს და პროპორციული უნდა იყოს ამ სამართალდარღვევის შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევის ხარისხთან.“⁶

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თავდაპირველი საფუძველი განსაზღვრულია

⁴ დ. ხობელია., ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები და კონსტიტუციური პრინციპები., ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი 2020 №1 (65), გვ 143.

⁵ ბ. სავანელი., სამართლის ზოგადი თეორია (სამართლის საფუძვლები. სამართლის ფილოსოფია და სოციოლოგია). მე-6 გამოცემა, 2009 წელი. გვ. 184 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/474393/1/Samartlis_Zogadi_Teoria_2009.pdf> [15.7.2025].

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ბს-1043(2კ-20). <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/30575/0?utm_source=chatgpt.com> [15.7.2025].

კონსტიტუციის ზოგად დებულებებში, რომლებითაც აღიარებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა. ის წარმოადგენს სახელმწიფო სანქციის სახეს, იძულების საჯაროსამართლებრივ ზომას, რაც კავშირშია სამართლებრივ შეზღუდვებთან, რომელთა ხასიათი განისაზღვრება კონკრეტული ადმინისტრაციული სახდელითა და მისი გამოყენების წესით. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახეთა დადგენა საკანონმდებლო რეგულირების სფეროს მიეკუთვნება.⁷

რაც შეეხება ადმინისტრაციული გადაცდომის არსს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.⁸

პერსონალური მონაცემების დაცვის წესების დამრღვევისთვის სახდელის დასაკისრებლად კანონით გათვალისწინებულია მთელი რიგი წინაპირობები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სანქციის სამართლიანი ზომის შესარჩევად, მათ შორის, თითოეული საქმის შესწავლის ფარგლებში დასადგენია:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი;
- ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში;
- ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
- არამართლზომიერი ქმედების ჩამდენი პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (საჯარო დაწესებულებაა თუ კერძო ორგანიზაცია, კომპანიის ბრუნვის ოდენობა და სხვა);
- არის თუ არა სახეზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები;
- ფაქტის ჩადენიდან ხომ არ არის გასული სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადა;
- სახეზეა თუ არა ერთი ქმედება, რომელიც რამდენიმე სამართალდარღვევის ნიშნებს შეიცავს (თუ რამდენიმე ამგვარი ქმედებაა ჩადენილი); საყურადღებოა მათი გამოვლენის წინაპირობებიც (მაგალითად, ერთი საქმისწარმოების ფარგლებშია გამოვლენილი თუ არა);

⁷ იხ. იქვე, გვ 147.

⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი.

— სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.⁹

2. ლეგიტიმური სანქციის განსაზღვრისთვის საყურადღებო გარემოებები

2.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დაუცველობა, იმის მიხედვით, კონკრეტულად რომელი წესია დარღვეული, სანქციის სახით განსხვავებულ შედეგებს იწვევს. ხშირად კი, პერსონალური მონაცემების დაცვის წესების ცალკეულ დარღვევას შეუძლია მონაცემების დაცვის სხვა წესების უგულვებელყოფაც გამოიწვიოს. მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის არაკვალიფიციური ოფიცრის საქმიანობა საფრთხის შემქმნელია უპირველესად მისი დამსაქმებლისთვის/დამქირავებლისთვის, ვინაიდან მან, შესაძლოა, სათანადოდ ვერ შეაფასოს მონაცემების დამუშავების პროცესი, გასცეს არასაჭირო მოცულობის მონაცემების დამუშავების რეკომენდაცია, უსაფრთხოების რისკები სათანადოდ ვერ განსაზღვროს ან/და სხვა აუცილებელი გარემოება გამორჩეს და მონაცემების არაკანონიერი დამუშავების პრევენციაში საჭირო წვლილის შეტანა ვერ შეძლოს.

კანონის 66-ე-87-ე მუხლებში ჩამოყალიბებულია კონკრეტული ქმედებები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში განსაზღვრულია ადმინისტრაციული სახდელის ზომები. მითითებული ნორმები პასუხისმგებლობას აწესებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა არსებითი წესის დარღვევისთვის. ამასთან, პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესთან დაკავშირებული ყველა არამართლზომიერი ქმედება, შესაძლოა, კონკრეტული სახდელის დაკისრების საფუძველი ვერ გახდეს.



მაგალითად, კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა. თავის მხრივ, კანონის 33-ე მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში. გარდა ამისა, ფუნქციის შეთავსების შემთხვევაში არ უნდა იყოს სახეზე ინტერესთა კონფლიქტი და სხვა. აღნიშნულის მიუხედავად,

⁹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი; 64-ე და 65-ე მუხლები და სხვა.

უშუალოდ სამართალდარღვევის ნიშნები სახეზეა, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, საერთოდ არ ჰყავს დანიშნული/განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. იმ შემთხვევაში, თუკი დანიშნული ოფიცერი კვალიფიციურ განმარტებებს ვერ წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის პროცესებში, ანდა გამოიკვეთება შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის რისკები, ასევე, თუკი სხვა ვითარებაში გამოვლინდება მისი არასათანადო ცოდნა ან/და ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს კანონის 82-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია ვერ შეეფარდება, თუმცა კანონის სათანადო სტანდარტით შესასრულებლად შესაძლებელი იქნება საჭირო რეკომენდაციების ან/და დავალებების გაცემა (მაგალითად, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე ოფიცრის განგრძობადი განათლების უზრუნველყოფა, ოფიცრად იმგვარი პირის საქმიანობა, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტი არ ექნება ან/და სხვა).



მაგალითად, კანონის მე-9 მუხლი ადგენს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად მონაცემთა დამუშავებამდე წერილობით განსაზღვროს ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანი და მოცულობა, ამ მონაცემთა შენახვის ვადა, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები“. თავის მხრივ, კანონში ცალკე არ გვხვდება ნორმა ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესების დარღვევის შესახებ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამგვარი მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება. ამასთან, კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულია სანქცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის. ამდენად, თუკი პირი ბიომეტრიულ მონაცემებს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ამუშავებს, მას სახდელი 68-ე მუხლით დაედება, განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როდესაც დაწესებულება კანონით დადგენილი საფუძვლით ამუშავებს ბიომეტრიულ მონაცემებს, მაგრამ არ აქვს შემუშავებული კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი. მსგავსი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით წესის შემუშავების უზრუნველყოფის თაობაზე შესაბამისი დავალება გაიცემა.

2.2. ხანდაზმულობის ვადა

პერსონალური მონაცემების დაცვის წესების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური ვადები,¹⁰ კერძოდ:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს არაუგვიანეს 4 თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო თუ სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს 4 თვისა მისი გამოვლენის დღიდან;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, ზემოხსენებული 4-თვიანი ვადის დენა შეჩერდება სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;
- სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ როცა სამართალდამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, მას ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაეკისროს არაუგვიანეს 2 თვისა სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ხანდაზმულობის ვადების სწორად გამოთვლისთვის უნდა განისაზღვროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესების დარღვევა დასრულებული ქმედებაა თუ დენადი სამართალდარღვევა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დენადი სამართალდარღვევა უწყვეტად გრძელდება დროში და ითვლება დენადად მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება, სამართლებრივ ჩარჩოებში არ მოქცევა.¹¹



მაგალითად, თუკი პერსონალური მონაცემები რომელიმე ვებგვერდზე არაკანონიერად გამოქვეყნდა და შემდეგ წაიშალა, სახეზეა დასრულებული ფაქტი და მის შესაფასებლად ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება წაშლის მომენტიდან. თუმცა, თუკი ვებგვერდზე არაკანონიერად გამოქვეყნებული მონაცემები არ წაშლილა და, ამდენად, გასაჯაროება არ შეწყვეტილა, დენადი სამართალდარღვევიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა მისი გამოვლენის მომენტიდან უნდა დაიწყოს.

¹⁰ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლი.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-73(კ-23).

დენადი სამართალდარღვევა დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება მმართველობის სპეციფიკურ საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს.¹³ შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა შეიძლება წარმოადგენდეს დენადი სამართალდარღვევის შემთხვევაში მისი გამოვლენის მომენტს.



ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ სადავოდ გამხდარი მონაცემები ვებგვერდზე კვლავ გამოქვეყნებულია, არ ნიშნავს სამართალდარღვევის გამოვლენას და, შესაბამისად, ვერ გახდება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების საფუძველი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გამოსარკვევია მონაცემების გასაჯაროების მიზნები, მათი ლეგიტიმურობა, მონაცემების ამ გზით დამუშავების საფუძვლები, მონაცემების უსაფრთხოების დაცვის საკითხები და მხოლოდ მათი დადგენის შემდეგ, მტკიცებულებათა ერთობლიობით შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტული სამართალდარღვევის ფაქტი. თავის მხრივ, ვებგვერდზე მონაცემების განგრძობადი, უკანონო გასაჯაროების პირობებში ყოველდღიურად იზრდება ამ ფაქტით მიყენებული ზიანის მასშტაბი.

დენადი სამართალდარღვევის შემთხვევაში მისი გამოვლენის მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღი. „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის“ თანახმად, თუ სამსახურის თანამშრომელი მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სახეზეა კანონის 66-ე-87-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.¹⁴

შემთხვევის ხანდაზმულობის შეფასება მნიშვნელოვანია როგორც საქმის განხილვის დაწყების ეტაპზე, ასევე, საქმისწარმოების დაწყების შემდეგ მის შეფასებამდე და სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების მიღებამდე. „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის“ თანახმად, მონაცემთა დამუშავების

¹² „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტი.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-544-535(კ-12).

¹⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 01 მარტის №34 ბრძანებით დამტკიცებული წესის 34-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

კანონიერების შესწავლის გამომრიცხავი გარემოებაა ხანდაზმულობის ვადის გასვლა.¹⁵

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სამსახურის უფროსის არსებითი გადაწყვეტილება, თუკი ამის შესაძლებლობას საქმისწარმოების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები იძლევა, მიღებულ იქნეს ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე. თუმცა, თუკი საქმის საჭირო დოზით გამოკვლევა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი მტკიცებულებების ერთობლიობის შეგროვება ობიექტურად ვერ ხერხდება, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ საქმის განხილვა უნდა შეწყდეს (შესაბამისად, ამ მიზნით, სათანადო სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სამსახურის უფროსის ბრძანება უნდა გამოიცეს).



ხსენებული წესი გასათვალისწინებელია საქმეებში, რომლებშიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ვლინდება და, ამდენად, შესადგენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ასევე, საქმეებში, რომლებშიც ფაქტების შეფასება შემაჯამებელი გადაწყვეტილებით ხდება, თუმცა კანონდარღვევა არ იკვეთება. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ორივე ტიპის საქმის გამოკვლევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესით ხდება. ამდენად, სადავო/გამოსაკვლევ საკითხი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ხოლო აღნიშნულის გასვლის შემდეგ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს.

2.3. სამართალდარღვევის ხასიათი/ბუნება

აუცილებელია, შეფასდეს ჩადენილი ქმედების საზიანო ხასიათი/ბუნება. ამისთვის კი უნდა განისაზღვროს: დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა და მასშტაბი, უკანონოდ დამუშავებულ მონაცემთა მოცულობა და კატეგორია, ასევე, ზიანის ხარისხი (დისკრიმინაცია, ეკონომიკური ზიანი, სოციალური ზიანი და სხვა). საყურადღებოა დარღვევის ხანგრძლივობა, რადგან იგი შეიძლება მიუთითებდეს, რომ დარღვევა მოხდა განზრახ, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები არ იქნა მიღებული ან არ იყო გატარებული საჭირო ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომები და სხვა.

2.4. ბრალეულობა და ბრალის ხარისხი

სახდელის სახის სწორად შერჩევისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მონაცემთა

¹⁵ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 01 მარტის №34 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი.

დამუშავებისათვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ბრალეულობა - სამართალდარღვევა ჩადენილია განზრახ, გაუფრთხილებლად თუ სახეზეა ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.

ბრალის ელემენტი წარმოადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და ჰქონდა ჩადენის სურვილი ან შეგნებულად უშვებდა მას. რაც შეეხება ბრალის მეორე ფორმას - გაუფრთხილებლობას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ მათი გათვალისწინება.

არამართლზომიერი ქმედება შესაძლოა ჩადენილი იყოს მოქმედებით ან უმოქმედობით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდეს სამართალდარღვევად, თუ პირს ეკისრება მოქმედების სპეციალური მოვალეობა და მას არ ასრულებს, შეუსრულებლობა კი შეესაბამება კანონით გათვალისწინებული აკრძალული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს.¹⁶

სამართლებრივი ნორმების განზრახი უგულებელყოფა უფრო მკაცრად ფასდება, ვიდრე უნებლიე დარღვევები, ამიტომ ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენება განზრახი დარღვევების შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილია, მონაცემთა დამუშავების წესის გაუფრთხილებლობით დარღვევასთან შედარებით.



გაუფრთხილებლობის მაგალითები: საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში პერსონალური მონაცემების დაფარვის გამორჩენა, ელექტრონული პროგრამის განახლების დაგვიანება და სხვა.



განზრახვის მაგალითი: მონაცემთა სუბიექტების შეხედულებებისა და ნების უგულებელყოფით პერსონალური მონაცემების დამუშავება მარკეტინგული

¹⁶ ჩახუნაშვილი ო., „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებები“, 2020., გვ. 30.

მიზნებისთვის; ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიუღებლობა, რამაც მონაცემთა უკანონო დამუშავება გამოიწვია და სხვა.



უმოქმედობის მაგალითი: მონაცემთა სუბიექტის განცხადების უპასუხოდ დატოვება იმ შემთხვევაში, როდესაც ის საკუთარი მონაცემების შემცველი მასალის გადაცემას ითხოვდა; ინციდენტის თაობაზე საზედამხედველო ორგანოსათვის კანონით დადგენილი შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა; მონაცემთა უსაფრთხოებისთვის საჭირო ზომების მიუღებლობა და სხვა.

ინდივიდუალური ბრალი და სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი

ორი ან/და მეტი თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების შემთხვევებისათვის კანონით გათვალისწინებულია სანქციის განსაზღვრის განსხვავებული წესი.¹⁷ კერძოდ, ხსენებული შემთხვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, უშუალოდ რომელი მათგანის მიერ იქნა დარღვევა ჩადენილი. დაუშვებელია, პირს სახდელი დაეკისოს იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაში მისი ბრალეულობა არ დგინდება.



მაგალითი: X და Y პოლიტიკურმა გაერთიანებებმა გადაწყვიტეს წინასაარჩევნო ერთობლივი კამპანიის ჩატარება. კამპანიის პროგრამის შექმნამდე კი ერთ-ერთ ორგანიზაციას ერთობლივად დაუკვეთეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა მათი პარტიების საქმიანობის კმაყოფილების თაობაზე. მათი სურვილი ორივე პარტიის ერთობლივი შედეგის გარკვევა იყო, რადგან საარჩევნოდ ისინი გაერთიანებას გეგმავდნენ. აღნიშნული გამოკითხვისას შეგროვებული პერსონალური მონაცემები გაასაჯაროვა მხოლოდ პარტია X-მა. თუმცა, მონაცემების გამჟღავნება ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნებს. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები განსაზღვრული იყო ორივე პარტიის მიერ, ისინი წარმოადგენენ თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს, მაგრამ რადგანაც მონაცემები გასაჯაროვდა მხოლოდ X-ის მიერ, სახდელი მხოლოდ მას უნდა დაეკისროს. ხსენებულ შემთხვევაში, Y-ის ბრალეულობა არ იკვეთება.

თანადამუშავებისათვის პასუხისმგებელი რამდენიმე პირის არსებობის შემთხვევაში, როდესაც ყველა მათგანის ბრალეულობა იკვეთება, კანონი ითვალისწინებს

¹⁷ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.



მაგალითი: X და Y პოლიტიკურმა გაერთიანებებმა გადაწყვიტეს წინასაარჩევნო ერთობლივი კამპანიის ჩატარება. კამპანიის პროგრამის შექმნამდე კი ერთ-ერთ ორგანიზაციას ერთად დაუკვეთეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა მათი პარტიების საქმიანობის კმაყოფილების თაობაზე. მათი სურვილი იყო პარტიების ერთობლივი შედეგები გაერკვიათ, რადგან საარჩევნოდ ისინი გაერთიანებას გეგმავდნენ. აღნიშნული გამოკითხვისას შეგროვებული პერსონალური მონაცემები გასაჯაროვდა ორივე პარტიის გადაწყვეტილებით, თუმცა მონაცემების გამჟღავნება ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნებს. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები განსაზღვრული იყო ორივე პარტიის მიერ და მონაცემები გასაჯაროვდა ორივეს ბრალით, X და Y პარტიებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სოლიდარულად - თითოეულს დაკისრებული ჯარიმის 50%-ის ოდენობით.

მიზეზშედეგობრივი კავშირი

პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მის ჩადენაში მონაცემთა დამუშავებისთვის სავარაუდო პასუხისმგებელი პირის ბრალეულობა ვერ დგინდება. ასეთ შემთხვევაში, პირისათვის სახდელის დაკისრება ვერ მოხდება. პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა სამართალდარღვევის ჩადენასა და დამდგარ შედეგს შორის.¹⁸

მაგალითი 1: X-მა სამსახურს მომართა Y-ის მიერ მისი პერსონალური მონაცემების



გასაჯაროების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით. სამსახურის მიერ საქმის შესწავლის ეტაპზე დადგინდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება - პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნება, მაგრამ ვერ გამოიკვეთა Y-ის მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენის ფაქტი. ხსენებულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმეში არ არსებობს უტყუარი და სანდო მტკიცებულებები, რომ მონაცემთა გასაჯაროება Y-ის ქმედებამ გამოიწვია, ვერ მოხდება მისთვის სახდელის დაკისრება.

მაგალითი 2: კომპანიის მიერ მიღებულია ყველა სათანადო ზომა ვიდეომონიტორინგის



განხორციელებისას მონაცემების არაუფლებამოსილი პირების წვდომისგან დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომაზე პასუხისმგებელმა პირმა მონაცემები გამოიყენა არასამსახურებრივი

¹⁸ ჩახუნაშვილი ო., „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებები“, 2020., გვ. 31.

მიზნებისათვის და გადასცა მესამე პირს. ხსენებულ შემთხვევაში, სახეზეა სამართალდარღვევა, თუმცა დარღვევა არ არის გამოწვეული კომპანიის ქმედებით, შესაბამისად, მას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

ბრალის გამომრიცხავი გარემოებები

სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმისწარმოებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება და საქმის წარმოების წესი განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტებით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ურთიერთმიმართებისას უპირატესობა ენიჭება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ნორმებს.¹⁹

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ბრალის გამომრიცხავი გარემოებები სპეციალური ნორმებით არ არის განსაზღვრული, თუმცა სახდელის დაკისრებამდე შესაფასებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გათვალისწინებულია ბრალის არსებობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიდგომათა გათვალისწინება, რომლის მიხედვით:

- „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის ან უმოქმედობის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე იგი არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.“²⁰
- „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ.“²¹

საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს დეტალურად არ განსაზღვრავს. თავის მხრივ, ბრალი ქმედების სუბიექტური მხარის შემადგენელი ნაწილია და ასახავს დამრღვევის

¹⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

²⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-20 მუხლი.

²¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლი.

დამოკიდებულებას არამართლზომიერი ქმედებისა და მისი შედეგის მიმართ. შესაბამისად, როდესაც ჩადენილ ქმედებასა და შედეგად დამდგარ სამართალდარღვევას შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ქმედების ჩამდენის ბრალის გამორიცხვა მხოლოდ ზემოხსენებულ ორ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

2.5. მონაცემთა კატეგორია

ამ გარემოებების შესაფასებლად უნდა დადგინდეს:



- იყო თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი დამუშავებული;
- უკანონოდ დამუშავებული მონაცემები იდენტიფიცირებადია პირდაპირ თუ არაპირდაპირ;
- მონაცემთა დამუშავებისას გამჟღავნდა თუ არა ისეთი ტიპის მონაცემები, რომლებიც გამოიწვევდა მყისიერ ზიანს;
- უკანონოდ დამუშავებული მონაცემები დაშიფრულია თუ საჯარო წყაროებში ტექნიკურად ხელმისაწვდომია განსაკუთრებული დაცვის საშუალების გარეშე და ა.შ.

2.6. როგორ გახდა დარღვევა ცნობილი საზედამხედველო ორგანოსათვის

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მონაცემთა დამუშავების კანონიერების დარღვევის თაობაზე შეიძლება შეიტყოს მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური ან არაგეგმური შემოწმების, განცხადების განხილვის, ანონიმური მიმართვის, საჩივრის, მასმედიაში გამოქვეყნებული სტატიის ან სხვა გზით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევის ფაქტზე მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის ინიციატივით საზედამხედველო ორგანოს ინფორმირება, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

2.7. შიდაორგანიზაციული წესების და ქცევის კოდექსებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა

მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს ან/და მონაცემთა დამუშავებაზე



უფლებამოსილ პირს შესაძლოა გააჩნდეს თვითრეგულირების მექანიზმები - შემუშავებული ჰქონდეს ქცევის წესები და განსაზღვრული ჰყავდეს მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული დანაყოფები.

შესაძლებელია, სახდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს თვითრეგულირების სქემის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირების მიერ სანქციების შეფარდების ფაქტები და მსუბუქი სახდელის დაკისრება ჩაითვალოს სახდელის მიზნებთან

შესაბამისად.

2.8. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ზომების შეფასება

ყოველმხრივ ადეკვატური და პროპორციული სახდელის შესარჩევად გამოსაკვლევი თუ რა ზომებს მიმართა სამართალდამრღვევმა მონაცემთა უკანონოდ დამუშავების ფაქტის თავიდან არიდებისთვის. ხსენებული საკითხი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული, მათ შორის, სამართალდამრღვევის ბრალეულობის სწორად განსაზღვრასთან - სახეზეა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება. ამასთან, სამართალდამრღვევის მიერ გაწეული ნებისმიერი ძალისხმევა მონაცემთა სუბიექტებისთვის მიყენებული ზიანის შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

შესაბამისად, შესაფასებელია:

- პირის მიერ მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გამოსადეგობა ზიანის ასარიდებლად/შესამცირებლად;
- შემუშავებული და დანერგილი საუკეთესო პრაქტიკისა და მეთოდების, საქმიანობის სფეროში არსებული სტანდარტების, პროტოკოლების, ასევე, შესაბამისი ქცევის კოდექსების სამართალდამრღვევის მიერ გათვალისწინება.

2.9. დარღვევის შედეგი/დაზარალებული მონაცემთა სუბიექტი

მონაცემთა უკანონო დამუშავებას შესაძლოა მყისიერად ჰქონდეს მონაცემთა სუბიექტზე ნეგატიური გავლენა ან/და ამგვარი შედეგის აბსტრაქტული საფრთხე შეიქმნას.

- პასუხისმგებელმა მხარემ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა შეამციროს პირის მიმართ მონაცემების უკანონო დამუშავების ზემოქმედების შედეგები.

შესაბამისად, საყურადღებოა რა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები იქნა მიღებული დარღვევის პრევენციისთვის, ასევე, დარღვევის შემდგომ დამდგარი ზიანის მინიმიზაციისთვის;

— სახდელის შეფარდებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს, შესაძლებელია თუ არა ჩადენილი დარღვევის გამოსწორება და რა დრო დასჭირდება ამას.

3. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი ნორმით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი სახის გადაწყვეტილებების მიღება:



- სახდელისგან გათავისუფლება მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო;
- მსუბუქი სახდელის (გაფრთხილება) დაკისრება;
- მძიმე სახდელის (ჯარიმა) დაკისრება.

3.1. მცირემნიშვნელოვანი დარღვევები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლი მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს განსაზღვრავს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია სამართალდამრღვევს გამოუცხადოს შენიშვნა, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა უმნიშვნელოა. ამასთან, ამგვარი დარღვევის შემთხვევაში სამსახური

უფლებამოსილია წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს.²² შესაბამისად, გარდა იმისა, რომ სახეზე უნდა იყოს მცირემნიშვნელოვანი დარღვევა, ასევე, უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ერთი ან რამდენიმე გარემოება.

მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის კვალიფიკაციისას აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილი შესწავლა და სათანადო შეფასება. სამართალდარღვევას მცირე მნიშვნელობა აქვს, როდესაც მსგავსი ქმედების ჩადენისას კანონმდებლობით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მართლწესრიგს არ ადგება არსებითი ზიანი. ყოველი კონკრეტული ქმედება უნდა შეფასდეს ყურადღებით და მცირე მნიშვნელობის დამდგენი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ასეთ კრიტერიუმებს, ქმედების მცირე მნიშვნელობის მქონედ კვალიფიცირებისთვის უნდა მოხდეს მისი დადგენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპებისა და მიზნების შეჯერების საფუძველზე და ასევე, აუცილებელია სამართალდარღვევის დამდგენი კონკრეტული ნორმის კომპლექსური ანალიზი. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა ორგანომ საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად, მათ შორის, შინაგანი რწმენის საფუძველზე, უნდა განსაზღვროს გადაცდომისა და დამდგარი ზიანის ხარისხი, ხოლო მათი შეფასების პროცესში უნდა გაითვალისწინოს გადაცდომის და შესაბამისი სახდელის პროპორციულობა და თანაზომიერება.²³

საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი ინდივიდუალურად შესაფასებელი გარემოებაა. ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ სისტემატურად ჩადენილი დარღვევებით, არამედ სხვა ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით, როგორიცაა: სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

²² „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

²³ ჩახუნაშვილი ო., „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებები“, 2020., გვ. 147

სასამართლო პრაქტიკა:

სამოსამართლო პრაქტიკა ქმედების მცირე მნიშვნელობის დადგენისას, უმეტეს შემთხვევაში, ყურადღებას ამახვილებს შედეგზე, კერძოდ, ზიანის ფაქტზე.

— ერთ-ერთ საქმეზე²⁴ სასამართლომ საბაჟო წესების დარღვევა მცირემნიშვნელოვნად მიიჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ გამოუწვევია მძიმე შედეგი, დარღვევა მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა და მეზაჟეს შეეძლო, მხარისთვის მითითების გზით, დარღვევა ადგილზევე გამოესწორებინა;

— შემამსუბუქებელი გარემოება (მონანიება), დამრღვევის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის არცოდნა და ზიანის არარსებობა ქმედების მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის კრიტერიუმები გახდა სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით;²⁵

— სააპელაციო სასამართლომ²⁶ ზიანის არარსებობა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციული ღონისძიებების გამოუყენებლობა, კერძოდ, კონკრეტულ სივრცეში თევზაობის აკრძალვის შესახებ მინიშნების არარსებობა ქმედების მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის საფუძვლად შეაფასა;

— საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ უახლეს გადაწყვეტილებაში ქმედების შედეგთან ერთად, სხვადასხვა ფაქტორზე გამახვილდა ყურადღება, მათ შორის სამართალდამრღვევის პიროვნულ მახასიათებლებზე, ქმედების შედეგების გამოსწორებაში მიღებული მონაწილეობის ხარისხზე, სამართალდამრღვევად ცნობილი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის სიხშირეზე და სხვა.²⁷

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-84-84(კ-08).

²⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4/ა-687-14).

²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №4ა/858-14.

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-746(2კ-23); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ბს-1297(2კ-24); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-623(2კ-23).

3.2. დამამძიმებელი გარემოებები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად ჩამოთვლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ შემდეგ გარემოებებს:

- 1 წლის განმავლობაში იმავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს/მესამე პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი;
- დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემთა დამუშავება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან ასეთი საფრთხის შექმნა;
- არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა დისკრიმინაციული მოტივით.²⁸

3.2.1. განმეორებითი სახდელის დადება

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში სამართალდამრღვევის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა დამამძიმებელი გარემოებაა.

ქმედების განმეორებითად მიჩნევისათვის მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს მეორედ ჩადენილი ქმედების თარიღის მიმართება წინა ქმედებაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თარიღთან და მის შესახებ სამართალდამრღვევის ინფორმირება.

მაგალითად: პირს 2024 წლის 1 მარტს ჩადენილი ქმედებისათვის სახდელის სახით ჯარიმა შეეფარდა 2024 წლის 1 მაისს. იმავე პირის მიერ 2024 წლის 20 აპრილს იგივე ქმედების ჩადენა დადგინდა სამსახურის 2024 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქმედების ჩადენიდან (2024 წლის 1 მარტი) 1 წლის ვადაში იკვეთება იმავე ქმედების ჩადენის ფაქტი, პირს ვერ დაედება სახდელი განმეორებითი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, რადგან ეს ქმედება არ ჩადენილა სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

დასახელებულ დამამძიმებელ გარემოებაზე მსჯელობისას ასევე მნიშვნელოვანია

²⁸ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლი.

გათვალისწინებული იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც:

- ანალოგიური ქმედების ჩადენის დროისთვის პირველი ქმედების შეფასების შესახებ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება არ არის ჩაბარებული სამართალდამრღვევისთვის და ამდენად, ის არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მის მიერ ჩადენილი კონკრეტული შემთხვევა, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესების დარღვევად შეფასდა;
- სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება ჩაბარებულია სამართალდამრღვევისთვის, მაგრამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არ არის გასული;
- სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება ჩაბარებულია სამართალდამრღვევისთვის, მაგრამ გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერებულია, მაგალითად, კანონის საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში და არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ან მიღებულია, მაგრამ არ არის შესული კანონიერ ძალაში.

დამამძიმებელი გარემოების დასასაბუთებლად მნიშვნელოვანია, რომ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება ჩაბარებული იყოს მხარისათვის და ამასთან, ობიექტური მტკიცებულებებით დასტურდებოდეს მისი არსის შესახებ სამართალდამრღვევის ინფორმირების ფაქტი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების შესახებ სამართალდამრღვევი ინფორმირებული არ არის და მისი მიღების შემდეგ იმავე ქმედებას სჩადის, სახეზე ვერ იქნება პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ განმეორებით ჩადენილი ქმედება და, შესაბამისად, განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოება. ეს განპირობებულია დამამძიმებელი გარემოების არსით - გარდა იმისა, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფცია არსებობს და არავის შეუძლია მიუთითოს კანონის არცოდნის გამო მის დაუცველობაზე, სამართალდამრღვევის მიმართ, თუკი იგი სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებითაც ინფორმირებულია თავისი ქცევის არამართლზომიერების შესახებ და მაინც იმავეს სჩადის, აუცილებელია, რომ კანონის მიდგომა უფრო მკაცრი იყოს, ვიდრე დარღვევის პირველად ჩამდენი პირების მიმართ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების გასაჩივრებას, განსხვავებით 2024 წლის პირველ მარტამდე მოქმედი კანონის რედაქციისგან, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 10 დღიდან გაზრდილია 1 (ერთი) თვემდე, ამასთან, კანონით არის მოწესრიგებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში მისი აღსრულების საკითხი, კერძოდ, განსაზღვრულია, რომ საქმის წარმოების შედეგად მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში იგი აღსრულდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.²⁹ შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეფასებული სამართალდარღვევის განმეორებით, თუმცა, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ჩადენა, განსახილველ დამამძიმებელ გარემოებად ვერ შეფასდება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო უწყების გაგზავნა სახდელის შემფარდებელი ორგანოსათვის დადგენილ ვადებში ვერ ხორციელდება და, შესაბამისად, აქტის გამოცემ ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე უტყუარი ინფორმაცია შესაძლებელია რამდენიმე თვის დაგვიანებით მიეწოდოს. შესაბამისად, განმეორებითი ქმედების ჩადენისას, სამსახურის მიერ სახდელის დადების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია სამსახურის უფროსის წინა გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მოპოვება. საგულისხმოა, რომ მხარეებისგან უტყუარი ინფორმაციის მოპოვების მხრივ დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის მოძიების საუკეთესო გზა არის თბილისის საქალაქო სასამართლოდან ინფორმაციის გამოთხოვა, ასევე, ასკ-ის მიხედვით³⁰, შესაძლოა გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტის გადამოწმება, შესაძლოა, საჭირო გახდეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

3.2.2. დიდი ოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემების უკანონოდ დამუშავება

კანონი ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრავს შემთხვევას, როდესაც მუშავდება დიდი ოდენობით მონაცემთა სუბიექტების შესახებ პერსონალური ინფორმაცია, თუმცა ამ ნორმის მიზნებისათვის არ არის განსაზღვრული, რა რაოდენობის მონაცემთა სუბიექტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება შეიძლება ჩაითვალოს დიდ ოდენობად.

ხსენებული საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. გასათვალისწინებელი იქნება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობის სპეციფიკა, ასევე, დამუშავებული მონაცემების პროპორციული მაჩვენებლები მონაცემთა სუბიექტების ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ჯგუფთან და სხვა. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (EDPB) გზამკვლევის თანახმად, დიდი ოდენობით მონაცემთა სუბიექტების საკითხი, ასევე, უნდა შეფასდეს

²⁹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქმის გარემოებიდან გამომდინარე, უფლებადარღვეულ მონაცემთა სუბიექტების რაოდენობასა და მონაცემთა სუბიექტების საერთო რაოდენობას შორის თანაფარდობის კონტექსტში (მაგ., მოქალაქეების, კლიენტების ან თანამშრომლების რაოდენობა). ამასთან, საყურადღებოა დარღვევა რამდენად შეიძლება იყოს სისტემური ხასიათის, კერძოდ, რა რაოდენობის მონაცემთა სუბიექტების უფლების ხელყოფა შეიძლებოდა გამოეწვია ქმედებას, რაც მათ საზედამხედველო ორგანოში არ გახადეს სადავო. როდესაც სახეზეა დარღვევის სისტემური ხასიათი, ასევე, შესაძლოა, შეფასდეს მონაცემთა სხვა სუბიექტებისათვის მოსალოდნელი ზიანის საფრთხე.³¹



მაგალითი: ერთ-ერთმა სამედიცინო დაწესებულებამ, რომელიც აივ ინფექციით დაავადებულთათვის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სერვისების ძირითადი მიმწოდებელია, პირობითად, 1000 ინფიცირებულის პერსონალური მონაცემები თავის ვებგვერდზე გაამჟღავნა და 2 წლის განმავლობაში პერიოდულად აახლებდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. მონაცემების გაჟღავნების დროისათვის აივ ინფექციით ინფიცირებული სულ 2000 ადამიანი იყო ქვეყანაში რეგისტრირებული. ხსენებულ შემთხვევაში გაჟღავნებული მონაცემები დიდი მოცულობის მონაცემებად შესაძლებელია იდენტიფიცირდეს.

3.2.3. არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიხედვით, არასრულწლოვნად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი.³² არასრულწლოვანები საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ და მათი მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვების საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება შესწავლილი იქნა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (EDPB) წინამორბედი 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის 2009 წლის მოსაზრებაში, რომელშიც აღინიშნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაცული უნდა იყოს ყველა იმ პირის მიერ, ვინც ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს. აღნიშნული ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ადამიანს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმწიფისთვის, სჭირდება მეტი დაცვა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.³³

2024 წლის 1 მარტიდან კანონი ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით³⁴ და ადგენს მათ

³¹ EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, p.19.

³² საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

³³ სამსახურის რეკომენდაციები „არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, გვ. 15.

³⁴ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

მიმართ უფლების დაცვის მეტ გარანტიებს. მათ შორის, 18 წლამდე ასაკის პირის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საყურადღებოა ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა არასრულწლოვანი პირის პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით დამუშავება, თუმცა სახდელის დადების მომენტისათვის მონაცემთა სუბიექტი სრულწლოვანია. ასეთ დროს ქმედება მიჩნეულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევად, ვინაიდან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ქმედების ჩადენის მომენტისათვის მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანი იყო.

3.2.4. ანგარების მოტივით მონაცემების დამუშავება

სამართალდარღვევებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებების



გამოკვლევის ეტაპზე შეფასდეს სამართალდარღვევის ჩადენის მოტივაცია. ანგარებით ჩადენილად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც მიემართება ფულადი ან სხვა რაიმე სახის სარგებლის მიღების სურვილს.

მაგალითად: X დასაქმებულმა იმავე ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელსაც სამსახურებრივად არ მიუწვდებოდა ხელი Y დასაქმებულის პერსონალურ ინფორმაციაზე, გადასცა Y დასაქმებულის პერსონალური მონაცემები. აღნიშნულის მოტივად გამოიკვეთა X დასაქმებულის შეთანხმება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან, რომ ინფორმაციის გაცემის სანაცვლოდ მოხდებოდა მისი დაწინაურება.

3.2.5. დისკრიმინაციის მოტივით მონაცემების დამუშავება

დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს თავად დისკრიმინაციის ჩადენის ფაქტის დადგენისაგან, რადგან დისკრიმინაციის საქმეების შესწავლა და ფაქტის დადგენა სამსახურის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, თუმცა სახდელის განსაზღვრისას და დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შესაფასებლად სამსახურმა უნდა გამოიკვლიოს სახეზე ხომ არ არის სამართალდარღვევის ჩადენა დასახელებული მოტივით. მითითებულის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია თავად თანასწორობის პრინციპისა და დისკრიმინაციის განმარტებების გაანალიზება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის

ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

დიკრიმინაციის ცნება მოცემულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც დისკრიმინაციის ორ სახეს განსაზღვრავს:

— **პირდაპირი დისკრიმინაცია** - ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

— **ირიბი დისკრიმინაცია** - ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამასთან, დიკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შევიწროება, რომელიც ზემოხსენებული კანონით განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის ეტაპზე, იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება რომელიმე ზემოაღნიშნული ნიშნის მიხედვით განსხვავებული მოპყრობა და ვერ მიეთითება ობიექტურ სამართლებრივ/ფაქტობრივ საფუძვლებზე, შესაძლებელია, სამართალდარღვევა მიჩნეული იქნეს დისკრიმინაციული მოტივით



განხორციელებულად.

მაგალითი 1: დამსაქმებელი წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას, განაცხადის წარდგენის ეტაპზე, დასაქმების კანდიდატი ქალების შემთხვევაში ითხოვს ინფორმაციას ოჯახური მდგომარეობის (მათ შორის, შვილების შესახებ ინფორმაცია) თაობაზე და აღნიშნულის საფუძველად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ქალი დასაქმებულები, რომლებიც არიან დაოჯახებულები და, მით უფრო, ჰყავთ შვილები, ნაკლებად პროდუქტიულები არიან. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, სათანადო დრო დაუთმონ სამსახურს, გაემგზავრონ მივლინებებში, იმუშაონ ზეგანაკვეთურად და სხვ. შესაბამისად, ქალი კანდიდატების შემთხვევაში ორგანიზაცია ყოველთვის ითხოვს ოჯახური



მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და ამ მიზეზით კანდიდატები აღარ გადაჰყავს კონკურსის მომდევნო ეტაპზე. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული განმარტებით მონაცემთა დამუშავების საფუძველად მითითებული გარემოება მიანიშნებს დასაქმების კანდიდატ ქალებთან მიმართებით არსებულ დისკრიმინაციულ მოტივზე.

მაგალითი 2: საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ამავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შედეგები სამსახურში გაასაჯაროვა. აღნიშნული ქმედების მოტივად კი გამოიკვეთა თანამშრომლისათვის დამამცირებელი გარემოს შექმნა, რაც დისკრიმინაციის, კერძოდ, შევიწროების შემადგენლობაზე მიანიშნებს.

3.3. შემამსუბუქებელი გარემოებები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით³⁵ დადგენილია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, თუმცა მათი ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ესენია:

- მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება ან/და მსგავსი სამართალდარღვევის შემდგომ თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გულწრფელი მონანიება და

³⁵ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობა;

- სხვა გარემოებები, როგორებიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათი და სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხი, რომლებსაც საქმის გადაწყვეტისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები აისახება ჯარიმის ოდენობაზეც. რიგ შემთხვევაში მისი რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 20%-ით ან 30%-ით, ხოლო რამდენიმე გარემოების ერთდროულად არსებობა ჯარიმის 50%-ით შემცირების წინაპირობა შეიძლება გახდეს. თავის მხრივ, შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს.

3.3.1. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება ან/და მსგავსი სამართალდარღვევის შემდგომ თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება

შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასებისას გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი, სამსახურის მიერ საქმის შესწავლის ფარგლებში, საკუთარი ნებით შეწყვეტს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. აღნიშნულის მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული პერსონალური მონაცემების წაშლა, მონაცემთა სუბიექტებისათვის მარკეტინგული შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა და სხვ. ამ მხრივ, ასევე, ქმედების შეწყვეტასთან ერთად, შესაფასებელია მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ მიღებული ზომები, რომლებიც ემსახურება მსგავსი სახით მონაცემთა დამუშავების შემდგომ პრევენციას, მაგალითად, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება, ინსტრუქციების მიცემა, ინფორმაციაზე არაუფლებამოსილი პირების მიერ წვდომის პრევენციის მიზნით დამატებითი ტექნიკური უსაფრთხოების ზომების დანერგვა. ამასთან, გასათვალისწინებელია „დროულობის ელემენტი“, კერძოდ, რა მოცემულობასა და გარემოებების ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელმა პირმა/მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა დარღვევის/ზიანის გამოსწორების მიზნით ღონისძიებების გატარების თაობაზე. თუ აღნიშნული ღონისძიებების გატარება წინ უსწრებს საზედამხედველო ორგანოს მიერ

საკითხზე შესწავლის დაწყებას, ხსენებული უფრო მეტი ხარისხით შეიძლება მივიჩნიოთ შემამსუბუქებელ გარემოებად.³⁶

3.3.2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა სახდელის განსაზღვრისას შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.³⁷

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ყველაზე მსუბუქი სახდელის დადების პრინციპს ითვალისწინებს, რომლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამავე კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას.³⁸

კანონმდებლის მიზანი არ არის არასრულწლოვანის დასჯა და იგი უპირატესად მიემართება მათ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ინტერესს. თავის მხრივ, არასრულწლოვანის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ტერმინში მოიაზრება არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვანის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად მისი მომზადება.³⁹ არასრულწლოვანის მიერ სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის შეფარდებისას უპირატესია მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება. გამოყენებული სახდელის შეფარდებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული სახდელის თანაზომიერების პრინციპი სამართალდამრღვევის პიროვნების, ასაკის, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების

³⁶ EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, p.27.

³⁷ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.

³⁸ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-8 მუხლი

³⁹ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პირველი და მე-3 მუხლები.

3.3.3. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის გულწრფელი მონანიება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობა

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს არ აქვს ინფორმაცია და, შესაბამისად, არ აქვს გაცნობიერებული, რომ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა. ასეთ დროს, უმრავლეს შემთხვევაში, სახეზეა გაუფრთხილებლობით ჩადენილი სამართალდარღვევა, რომელსაც ინანებს სამართალდამრღვევი და თანამშრომლობს საზედამხედველო ორგანოსთან.



მონანიების მაგალითი: ბაგა-ბაღის მასწავლებელმა ერთ-ერთი ბაგა-ბაღის აღსაზრდელის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სოციალური ქსელის ე.წ. „ჩათის“ საშუალებით ბავშვის ნათესავს - მესამე პირს გაუმჟღავნა, აღსაზრდელის მდგომარეობის მოკითხვის მიზნით, რაც შესწავლის ფარგლებში აღიარა და მიმოწერის დამადასტურებელი ე.წ. „სქრინშოტები“ სამსახურში წარმოადგინა. მასწავლებლის განმარტებით, მას არ სურდა ბავშვის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, ინფორმაციის გამჟღავნების მომენტისათვის არ ჰქონდა აღქმული საკუთარი ქმედების კანონთან შეუსაბამობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გაამჟღავნებდა მონაცემებს და ქმედება გულწრფელად მოინანია. ამასთან, „ჩათში“ არსებული მიმოწერა მან სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე წაშალა.



თანამშრომლობის მაგალითი: შესწავლის ფარგლებში საზედამხედველო ორგანოს წინაშე საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაციის/მტკიცებულებების საკუთარი ინიციატივით წარდგენა, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის/მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარება.

საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხის შეფასება

„ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციაში“ (GDPR) ტერმინი „თანამშრომლობა“ განსაზღვრული არ არის. თანამშრომლობის ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის მიწოდებას, ობიექტებსა და დოკუმენტაციაზე წვდომის მიცემის შესაძლებლობასა და დამუშავების ოპერაციების განმარტებას.⁴¹ GDPR-ის 31-ე მუხლის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს, ასევე, მონაცემთა

⁴⁰ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-7 მუხლი.

⁴¹ Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 627.

დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრებათ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ზოგადი ვალდებულება, აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის კი GDPR-ის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა.⁴²

საზედამხედველო ორგანოსთან „თანამშრომლობა“, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი ფაქტია. მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს თანამშრომლობისა და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების საკითხი. მაგალითად, როდესაც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი ინციდენტის შესახებ ატყობინებს საზედამხედველო ორგანოს, აღნიშნული წარმოადგენს ამ უკანაქნელის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის („29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი“) რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილი არ არის ისეთი თანამშრომლობის დამატებით გათვალისწინება, რაც კანონით თავისთავად არის მოთხოვნილი.⁴³

დარღვევის გამოსავლენად, სათანადო მტკიცებულებების დროულად და სრულად მოპოვების მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამრღვევის მიერ გამოვლენილი თანამშრომლობის ინიციატივა/სურვილი. თანამშრომლობის ხარისხის შეფასებისას საყურადღებოა საჭირო მტკიცებულებების დროულად და სრულად წარმოდგენის საკითხი, ასევე, დამრღვევის მიერ გატარებული ღონისძიებები/მიღებული ზომები დარღვევის ან მისი უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად.

3.3.4. სხვა გარემოებები, რომლებიც სამსახურის მიერ შესაძლოა მიჩნეული იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებებად

შემამსუბუქებელი გარემოებების ამომწურავი ჩამონათვალი კანონით არ არის განსაზღვრული (განსხვავებით დამამძიმებელი გარემოებებისგან), რაც სამსახურს მეტ დისკრეციას ანიჭებს, სამართალდარღვევა მიიჩნიოს შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილად. ყოველ კონკრეტულ საქმეში შესაძლოა სახეზე იყოს ისეთი გარემოებები, რომელთა წინასწარ პროგნოზირება კანონმდებლის მიერ არ იყო შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახდელის დადებისას ინდივიდუალურად შეფასდეს თითოეული შემთხვევა⁴⁴.

⁴² EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, §96.

⁴³ ARTICLE 29 DATA PROTECTION WORKING PARTY, Guidelines on the application and setting of administrative fines for the purposes of the Regulation 2016/679, 2017, 14. <<https://ec.europa.eu/newsroom/article29/items/611237/en>> [10.04.2024].

⁴⁴ EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, p.31.

4. პრინციპები, რომლებსაც დაკისრებული სახდელი უნდა აკმაყოფილებდეს

ზემოთ დასახელებული თითოეული კრიტერიუმის იდენტიფიცირებისა და შეფასების შემდგომ, სამართლიანი სახდელის სახის განსაზღვრის მომდევნო ეტაპია ამ გარემოებებისა და სახდელის დადების ზოგადი პრინციპების ერთობლივი ანალიზი, ვინაიდან სახდელის მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მათი ერთობლივი შეჯერების შედეგად.

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (EDPB) გზამკვლევის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად პრინციპს, კერძოდ, იგი უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.⁴⁵

სახდელის ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია იმ მიზნის მიღწევა, რომლისთვისაც ის გამოიყენეს. თავის მხრივ, სახდელის მიზანი შეიძლება იყოს სამართალდამრღვევის დასჯა, კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, გამოყენებული სანქცია საკმარისი უნდა იყოს ამ მიზნების მისაღწევად.⁴⁶

პროპორციული სახდელის შეფარდება გულისხმობს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც აუცილებელი და თანაზომიერი საშუალებაა მიზნის მისაღწევად. რამდენიმე ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაკლებად მკაცრ სანქციას.⁴⁷

სანქციის შემაკავებელი ძალა დარღვევის პრევენციას გულისხმობს. ამ მხრივ, არსებობს ზოგადი და სპეციფიკური შემაკავებელი ეფექტები. ზოგადი ხასიათის ეფექტი მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სხვა პირების მიერ დარღვევის მომავალში ჩადენის პრევენცია ხდება, ხოლო სპეციფიკური ეფექტი უშუალოდ დამრღვევის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის თავიდან აცილებისკენ არის მიმართული.⁴⁸

4.1. სახდელის მიზანი

ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მთავარი მიზანია პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება.

ჩადენილი დარღვევები, ხელყოფილი სიკეთის გათვალისწინებით, სხვადასხვა შედეგს

⁴⁵ EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, p.39.

⁴⁶ იქვე., p.39.

⁴⁷ იქვე., p.39-40.

⁴⁸ იქვე., p.41.

იწვევს. ამდენად, ინდივიდუალურია სახდელის შეფარდების კონკრეტული მიზანი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სახდელის მიზანი შეიძლება იყოს მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების პატივისცემა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების აღდგენა, მსგავსი დარღვევების პრევენცია ან/და სხვა.

სახდელის მიზნის მისაღწევად:



- უნდა გამოირკვეს, რა არის სახდელის შეფარდების კონკრეტული მიზანი. სახდელი უნდა იძლეოდეს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას;
- ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს საქმის გარემოებები და გამოირიცხოს საკითხისადმი ფორმალური მიდგომა;
- სახდელი ადეკვატურად უნდა პასუხობდეს დარღვევის ხასიათს, სიმძიმესა და დამდგარ შედეგს;
- სავარაუდო სამართალდამრღვევს უნდა მიეცეს გონივრული, კონკრეტულად განსაზღვრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად.

4.2 თანაზომიერება და პროპორციულობა

გამოყენებული სახდელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული, რაც კანონით დაცულ ინტერესებს შორის ბალანსის დადგენით მიიღწევა. უფრო მკაცრი სახდელის გამოყენებისას უნდა დასაბუთდეს, რატომ არ არსებობდა უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენების შესაძლებლობა.

თანაზომიერი და პროპორციული სახდელის დასაკისრებლად:



- დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი გადაცდომის ბუნება და სიმძიმე, დარღვევის მიზეზი, დამდგარი შედეგი, მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა და დამრღვევის პიროვნება;
- გაფრთხილების ნაცვლად ჯარიმის გამოყენება უნდა იყოს არგუმენტირებული, აუცილებლობით გამოწვეული და დასაბუთებული;
- უნდა შესრულდეს ორმაგი ფუნქცია და გათვალისწინებული იქნეს როგორც საჯარო, ასევე გადაწყვეტილების ადრესატის

4.3 ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გამოყენება

ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი გულისხმობს თითოეული შემთხვევის დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად შეფასებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კონკრეტული შემთხვევა შესაძლოა მონაცემთა დამუშავების სხვა (მაგალითად, უკვე შესწავლილი) შემთხვევის მსგავსი იყოს. ამასთან, ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ უყურადღებოდ დარჩეს განსახილველი საქმის მსგავს საქმეზე გამოყენებული სახდელის ზომა. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანია თანასწორობის დაცვა და დისკრიმინაციის გამორიცხვა.

4.4 თანასწორობა და დისკრიმინაციის გამორიცხვა



- ერთი და იმავე სახის დარღვევების შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული სახდელის გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და პროპორციული;
- განსხვავებული პირობების შექმნა დასაშვებია, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზანშეწონილი. ნებისმიერი დიფერენციაცია უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და იყოს გამართლებული.

თუკი ორი ან მეტი ერთგვაროვანი დარღვევის შემთხვევაში, საქმეების ფაქტობრივი გარემოებები არსებითად მსგავსია, გამოყენებული სანქციები უნდა იყოს ერთგვაროვანი.

მაგალითად: ორმა სხვადასხვა ორგანიზაციამ მოთხოვნილი მონაცემების შემცველი ინფორმაცია პირს მას შემდეგ მიაწოდა, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საკითხზე მოკვლევა დაიწყო. ორივე ორგანიზაციამ დაარღვია კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა და მიუთითა გადატვირთულ სამუშაო გრაფიკზე. განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ არცერთი ორგანიზაციის გრაფიკი სტანდარტულზე მეტად გადატვირთული არ იყო. ორივე ორგანიზაციას სახდელის ზომად გაფრთხილება განესაზღვრა.

5. ადმინისტრაციული სახდელის დადება რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას

სამართალდარღვევების სიმრავლის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ჯარიმის სახით სანქციის განსაზღვრის განსხვავებულ წესს და ჯარიმის საერთო ოდენობის მაქსიმალურ ზედა ზღვარს ადგენს. სანქციის ოდენობის განსაზღვრის ხსენებული წესი მოქმედებს ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე პირის მიერ რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა და ასევე არსებობს ერთ-ერთი ქვემოთ დასახელებული საფუძველი⁴⁹:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გამოვლენილია ერთიანი შემოწმების ფარგლებში

მაგალითი: გეგმური ინსპექტირების ფარგლებში შესწავლის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე სამართალდარღვევა (მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, მონაცემთა კანონდარღვევით შენახვა, გამჟღავნება და სხვ.). ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალდარღვევები, ვინაიდან ისინი გამოვლინდა ერთი წარმოებისას, სანქციის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული და საერთო ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ზედა ზღვარს.

რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ საკითხი განიხილება ერთიანი წარმოების ფარგლებში

მაგალითი: სამსახურში შემოსულია რამდენიმე განმცხადებლის მომართვა ერთი და იმავე დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ რამდენიმე იდენტური დარღვევის ჩადენის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია რამდენიმე მომართვა გაერთიანდეს და განიხილულ იქნეს ერთი წარმოების ფარგლებში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დამოუკიდებელი განცხადების საფუძველზე ხდება საქმის შესწავლა, საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანების გამო, სახდელის დაკისრება უნდა მოხდეს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზედა ზღვრის ფარგლებში.

⁴⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, რომელიც ჩადენილია იმავე პირის მიმართ უკვე გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელის დადებამდე, რა დროსაც გაითვალისწინება დაკისრებული და დასაკისრებელი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ოდენობა.

მაგალითი: კომპანია X-ს, 2024 წლის 10 მარტს მონაცემთა უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 2024 წლის 10 აპრილს. იმავე კომპანიის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება დაირღვა 2024 წლის 20 მარტს, რაც სამსახურის მიერ გამოვლინდა 2024 წლის 20 აპრილს. იმის მიუხედავად, რომ ხსენებული ორი დარღვევა არ გამოვლენილა/არ განიხილება ერთიანი წარმოების ფარგლებში, ვინაიდან მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება დაირღვა (სამართალდარღვევა ჩადენილი იქნა) მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევისათვის სახდელის დადებამდე, გამოყენებული უნდა იქნეს ხსენებული ნორმა.

კანონი, ასევე, ითვალისწინებს ე.წ. „შთანთქმის“ პრინციპ⁵⁰. კერძოდ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ქმედება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კანონის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევად, სახდელის შეფარდება უნდა მოხდეს იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის და იმ ფარგლებში, რომლისთვისაც კანონით დადგენილია ყველაზე მძიმე პასუხისმგებლობა

მაგალითი: X კომპანიაში ხორციელდებოდა ვიდეომონიტორინგი, მაგრამ არ ხდებოდა მასზე წვდომის დროის აღრიცხვა. ქმედება წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, ასევე, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას. ხსენებული დარღვევისათვის კი სახდელი გათვალისწინებულია კანონის 69-ე და 76-ე მუხლების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, სახდელის დაკისრება უნდა მოხდეს 76-ე მუხლის თანახმად, ვინაიდან იგი უფრო მეტი ოდენობის ჯარიმას განსაზღვრავს.

ე. წ. „შთანთქმის“ პრინციპი მიემართება შემთხვევებსაც, როდესაც სახეზეა ერთიანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (ერთმანეთთან მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებული რამდენიმე ქმედების ერთობლიობა).

მაგალითი: X კომპანიის მიერ დაირღვა მონაცემთა უსაფრთხოების წესები, რამაც, ასევე, გამოიწვია მონაცემთა უკანონო გამჟღავნება. ასეთ შემთხვევაში გამჟღავნება

⁵⁰ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

გაუთვალისწინებლობიდან/დაუცველობიდან. შესაბამისად, დარღვევები განხილულ უნდა იქნეს ერთიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად.

6. სახდელის ოდენობის განსაზღვრის პრაქტიკული ასპექტები

კანონის თანახმად, ცალკეული სუბიექტებისათვის ჯარიმის ოდენობის შერჩევა დამოკიდებულია სამართალდამრღვევის წლიურ ბრუნვაზე. ამასთან, ბრუნვის გამოჯვნის ნიშნულად განსაზღვრულია 500 000 ლარი. ჯარიმის ოდენობა მათთვის, ვისი წლიური ბრუნვაც 500 000 ლარს აღემატება, მაღალია 500 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე სუბიექტებთან შედარებით.

წლიური ბრუნვის მიხედვით ჯარიმა დადგენილია მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი შემდეგი სუბიექტებისათვის:

- იურიდიული პირი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა));
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი;
- ინდივიდუალური მეწარმე.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, საჯარო დაწესებულებებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, აღნიშნული სუბიექტებისათვის კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობებს და იგი არ არის დამოკიდებული ამ სუბიექტების წლიურ ბრუნვასა და სხვა რაიმე კრიტერიუმზე.

გასათვალისწინებელია, რომ კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულება განიმარტება როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულება (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა). თავის მხრივ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ხსენებული მუხლით საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს განმარტების ქვეშ მოიაზრება ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.⁵¹

ამდენად, საჯარო დაწესებულების განმარტების ქვეშ, მათ შორის, მოიაზრება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირები, თუკი მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედება, რომელსაც სწავლობს სამსახური:

— მიემართება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას,

ან/და

— განხორციელებულია საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში.

საყურადღებო გარემოებაა სუბიექტების წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის სწორად გამოთხოვა და, შესაბამისად, მოპოვება. აღნიშნული ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით შეიძლება განხორციელდეს - სსიპ შემოსავლების სამსახურიდან,⁵² ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში - სავარაუდო სამართალდამრღვევისგან ან/და სხვა სათანადო პირისგან.

გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხებიც:

- სსიპ შემოსავლების სამსახურში მოთხოვნა შეიძლება გაიგზავნოს წერილობით ან შესაბამისი ვებსერვისით, სათანადო ელექტრონულ ბაზაზე წვდომის მიზნით;
- მოპოვებული ინფორმაცია უნდა იყოს წერილობითი სახის (მატერიალური დოკუმენტი, ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის ამსახველი ე.წ. „სქრინშოტი“, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით მიღებული ელექტრონული დოკუმენტი);
- მოთხოვნის მიზანი უნდა იყოს სახდელის ოდენობის სწორად განსაზღვრა.
- ინფორმაციის მოპოვებასა და ჯარიმის დაკისრებას შორის არ უნდა იყოს არაგონივრულად დიდი შუალედი;
- წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ იმ შემთხვევებს უნდა მიემართებოდეს, როდესაც სახდელის სახით ჯარიმა შეიძლება იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მხრიდან სანქციის სახის პირველადი შეფასება და შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის მოპოვება ჯარიმის თანაზომიერების შემთხვევაში. თავის მხრივ, შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვა ავტომატურად არ ნიშნავს დაწესებულების/პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და მისთვის ჯარიმის დაკისრების ვალდებულებას არ წარმოშობს.

⁵¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵² „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტი.



ასევე, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობა „წლიური ბრუნვის“ ცნებას არ ითვალისწინებს, ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, შემოსავლების სამსახურიდან მოპოვებული ინფორმაცია უნდა იძლეოდეს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

- სამართალდამრღვევის წლიური ბრუნვის დათვლისას, იმ შემთხვევაში, თუკი ის **დღგ-ს გადამხდელია**, გათვალისწინებული უნდა იქნეს დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვის (1), დღგ-ს ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვის (2), დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვის (3) და ბრუნვის, რომელიც არ გაითვალისწინება დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციის თანხაში (4), **ჯამი**;
- ზოგიერთი მსხვილი კომპანია შესაძლოა არ იყოს დღგ-ს გადამხდელი, **მათ შორის, სესხის გამცემი სუბიექტები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები**.⁵³ სამართალდამრღვევის წლიური ბრუნვის დათვლისას, იმ შემთხვევაში, თუკი ის **დღგ-ს გადამხდელი არ არის**, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბოლო საგადასახდო წლის ერთობლივი შემოსავლის შესახებ ჯამური ინფორმაცია.

ასევე, აღსანიშნავია, რომ:

- პირის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე - <https://www.rs.ge/TaxPayersRegistry>. შესაბამისად, სამართალდამრღვევის წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მოძიების დაწყებამდე, უმჯობესია გადამოწმდეს ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში;
- გარკვეული მეწარმე სუბიექტების/ინდივიდუალური მეწარმეების ბრუნვის შესახებ ინფორმაცია სსიპ შემოსავლების სამსახურს შესაძლოა არ ჰქონდეს. ასეთი შეიძლება იყოს ზოგიერთი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი კომპანია - მაგალითად, სალონები, თონეები, ავტომობილის ტექნიკური მომსახურების ცენტრები და სხვა⁵⁴. მათი ბრუნვის შესახებ ინფორმაცია უმჯობესია, მოპოვებულ იქნეს თავად დაწესებულებიდან. ამასთან, გარკვეული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან. მაგალითად, სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის საშუალებით, ერთ-ერთი სალონის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ის დღგ-ს გადამხდელად არ არის რეგისტრირებული, ფიქსირებული

⁵³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁵⁴ საქმიანობების ჩამონათვალი განსაზღვრულია სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით.

გადასახადის გადამხდელია, ხოლო სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე არსებული ანგარიშგებების პორტალში⁵⁵ ასახული ინფორმაციის შესწავლით ირკვევა, რომ კომპანია III კატეგორიის სუბიექტია. ამდენად, მისი შემოსავალი⁵⁶ 2 000 000 ლარიდან 20 000 000 ლარამდეა.⁵⁷ ამასთან, მისი ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია, ვებგვერდზე დარეგისტრირებული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია;

- სათამაშო ბიზნესის ზოგიერი წარმომადგენლის წლიური ბრუნვის შესახებ სრული ინფორმაცია შესაძლოა სსიპ შემოსავლების სამსახურს არ ჰქონდეს. ისინი ნაწილობრივ იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუმცა, ასევე, წარმომადგენენ მოსაკრებლის გადამხდელებს. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁸ შესაბამისად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება: თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარიდან 40 000 ლარის ჩათვლით; თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარიდან 4 000 ლარის ჩათვლით; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%-ით და სხვა. თავის მხრივ, სსიპ შემოსავლების სამსახური ინფორმირებულია სათამაშო სამორინეს მაგიდების, სათამაშო აპარატების რაოდენობის შესახებ. ხსენებული ინფორმაციის მოპოვება გარკვეულწილად მიუთითებს გარემოებაზე - აღმატება თუ არა სამართალდამრღვევის წლიური ბრუნვა 500 000 ლარს. მოპოვებული ინფორმაციის დაზუსტება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება თავად სამართალდამრღვევთანაც;
- სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პირის წლიური ბრუნვის შესახებ ოფიციალური და, შეძლებისდაგვარად, ზუსტი ინფორმაციის დასადგენად არის საჭირო.

საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება 2024 წლის 1 მარტამდე ჩადენილ ქმედებას, რომელიც დენადია და სახდელის განსაზღვრა უნდა მოხდეს 2024 წლის 1 მარტის შემდგომ. ასევე, როდესაც ქმედება დასრულდა 2024 წლის 1 მარტამდე და პირს სახდელი უნდა დაედოს 2024 წლის 1 მარტის შემდგომ.

⁵⁵ <<https://reportal.ge/>>.

⁵⁶ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შემოსავალი არის სუბიექტის მიერ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის გაყიდვიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მიღებული მთლიანი სარგებელი. შემოსავალი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, არაპირდაპირ გადასახადს, მესამე მხარის სახელით მიღებულ თანხებს და სუბიექტის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან დივიდენდის, პროცენტისა და როიალტის სახით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სარგებლის მიღება სუბიექტის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგია.

⁵⁷ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸ მუხლი 5.

კანონის 88-ე მუხლის თანახმად, 2024 წლის 1 მარტამდე პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად. ხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით, როდესაც სახეზეა დენადი სამართალდარღვევა, რომელიც დაიწყო 2024 წლის 1 მარტამდე და სახდელის შეფარდება ხდება 1 მარტის შემდგომ, გამოყენებული უნდა იქნეს 2024 წლის 1 მარტის შემდგომ მოქმედი კანონის რეგულაცია, ხოლო ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ქმედება დასრულდა 2024 წლის 1 მარტამდე და სახდელის დადება უნდა მოხდეს 2024 წლის 1 მარტის შემდგომ, საზედამხედველო ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს 2024 წლის 1 მარტამდე მოქმედი კანონის რედაქციით.

7. სახდელის შერჩევის დასაბუთება სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის 1¹ ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა იყოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება (უშუალოდ მონაცემების დამუშავების კანონიერების კვლევასთან დაკავშირებული გარემოებების დასაბუთებასთან ერთად), ალტერნატიული სახდელებიდან კონკრეტული სანქციის შერჩევის დროს გამოკვლეული და შეფასებული საკითხების შესახებ დასაბუთებას უნდა შეიცავდეს. აღნიშნული მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტებისთვის და საქმის განხილვაში მონაწილე სხვა მხარეებისთვის. მოცემული გზით ისინი დარწმუნდებიან, რომ გადაწყვეტილება არ არის სუბიექტურ, დაუსაბუთებელ შეფასებებზე დამყარებული (თვითნებური), ამასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა იქნება უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მხარეს ჰქონდეს მის წინააღმდეგ მიღებული სამართლებრივი აქტის გასაჩივრების რეალური საშუალება, ხოლო დავის საგანი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლისას შეფასებული საკითხები, არამედ სანქციის შერჩევა. თავის მხრივ, დასაბუთებული საჩივრის წარდგენა რთულდება, როდესაც მხარისთვის არ არის ცნობილი სახდელის შერჩევის მოტივაცია. შესაბამისად, მხარისთვის სანქციის შერჩევის საფუძვლად არსებული გარემოებების ცოდნა. ალტერნატიული სანქციებიდან ერთ-

ერთის შერჩევა ისე, რომ მასთან დაკავშირებული დასაბუთება გადაწყვეტილებაში არ აისახოს, შესაძლოა მიღებული სამართლებრივი აქტის (როგორც დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების) გაუქმების საფუძველი გახდეს. გადაწყვეტილებაში ასახული სათანადო დასაბუთების უპირატესობად ისიც უნდა იქნეს მიჩნეული, რომ აღნიშნული სამსახურის, როგორც ინსტიტუციის, მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას განაპირობებს.



მის.: საქანთველო, თბილისი, 6. ვარსკილი №7, 0105
ბათუმი, ბაქოლი ქუჩა, №48, 6010

www.pdps.ge

ფონ.: (+995 32) 242 1000

E-mail: office@pdps.ge